



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 266

ქალაქი ქუთაისი 25 მაისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით /სასყიდლით, პირობებით/, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის, თანხმობის მიცემის **შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეო დისტრიბუშენ გრუპის“ დირექტორის 29.02.2016 წლის N5086/01 და 31.03.2016 წლის N7873/01 მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას ელექტრონული აუქციონის წესით /სასყიდლით, პირობებით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. სარგებლობაში გადასაცემ ტერიტორიებზე განთავსდეს, სპეციალიზირებული ავტომობილები (მაცივარი-მანქანა) ხორც-პროდუქტების რეალიზების მიზნით, რომელსაც უნდა გააჩნდეს შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტაცია და სერთიფიკატი, ამასთანავე, უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილ ნორმებს.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის
№266 განკარგულების დანართი

ელექტრონული აუქციონის ფორმით /სასყიდლით, პირობებით/
სარგებლობაში გადასაცემი ქონების ნუსხა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ.	საჯარო რეესტრის ამონაწერი №
1	2	3	4	5
1	ტროტუარის ნაწილი	ბუკიას ქუჩა N2-ის აღმოსავლეთით	10	03.01.23.368
2	ტროტუარის ნაწილი	დავით და კონსტანტინეს ქუჩა, სანაპირო ზოლი ნაკვეთი N1	10	03.02.23.029
3	გზის ნაწილი	ჭავჭავაძის გამზირი N42-ის დასავლეთით	10	03.04.30.493
4	ტროტუარის ნაწილი	ბუხაიძის ქუჩა N5-ის დასავლეთით	10	03.01.22.295

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი